პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ხაქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ პარასკევი 24 მარტი 1978 წ. □ № 70 (17114) □ ფასი 2 კაპ.

1920 □ გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან □ 1978

დღეს ქვეყნდება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი

კონსტიტუციის პროექტში, მომწიფებული — სოციალისტურ საზოგადოების ძარტიის შესაბამისად, ასახულია ის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნები, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში მოხდა ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღების შემდეგ განვლილი დროის მანძილზე.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტში გათვალისწინებულია რესპუბლიკის განვითარების ეროვნული და სხვა თავისებურებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებით იგი გამოტანილია რესპუბლიკაში საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

პროექტი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი)

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და საბჭოების ხელისუფლების დამყარების შედეგად ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განაბორციელეს ძირეული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები, დაიცვეს სოციალიზმის მონაპოვარნი და ააშენეს განვითარებული სოციალისტური საზოგადოება—მშრომელ ადამიანთა ბედნიერი თავისუფლების საზოგადოება, სადაც შექმნილია მძლავრი საწარმოო ძალები, განუხრელად უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა და მაღლდება კულტურა, მტკიცდება მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევი კავშირი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა თანასწორუფლებიან რესპუბლიკად შედის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში, რომელიც განასახიერებს საბჭოთა ხალხის სახელმწიფოებრივ ერთიანობას, აკავშირებს ყველა ერსა და ეროვნებას კომუნიზმის ერთობლივი მშენებლობისათვის.

ხელმძღვანელობს რა კომუნიზმის მაღალი იდეალებით და სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) შესაბამისად, რომელმაც დაამკვიდრა სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესწყობილებისა და ბოლიტიკის საფუძვლები, დაადგინა მოქალაქეთა უფლებანი, თავისუფლებანი და მოვალეობანი, სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს ორგანიზაციის პრინციპები და მიზნები, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხალხი აცხადებს ამ კონსტიტუციას.

I. საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესწყობილების და პოლიტიკის საფუძვლები

თავი 1.

პოლიტიკური სისტემა

მუხლი 1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო, რომელიც მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის, რესპუბლიკის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა ნებასა და ინტერესებს გამოხატავს.

მუხლი 2. საქართველოს სს რესპუბლიკაში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის.

ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მეშვეობით, რომლებიც საქართველოს სსრ პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ.

ყველა სხვა სახელმწიფო ორგანო ექვემდებარება სახალხო დეპუტატთა საბჭოების კონტროლს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

მუხლი 3. საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზაციასა და საქმიანობას საფუძვლად უდევს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი — ქვემოდან ზემოთ სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს არჩევითობა, მათი ანგარიშვალდებულება ხალხისადმი, ქვემდგომი ორგანოებისათვის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა სავალდებულოობა. ადგილობრივ ინიციატივასა და შემოქმედებითს აქტიურობას, თითოეული სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირის პასუხისმგებლობას დაკისრებული საქმისათვის.

მუხლი 4. საბჭოთა სახელმწიფო და მისი ყველა ორგანო მოქმედებენ სოციალისტური კანონიერების საფუძველზე, უზრუნველყოფენ მართლწესრიგის, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი მოვალენი არიან იცავდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციას, საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და საბჭოთა კანონებს.

მუხლი 5. სახელმწიფო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები საყოველთაო-სახალხოდ განიხილება, აგრეთვე გადაეცემა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრისათვის (რეფერენდუმისათვის).

მუხლი 6. საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბირთვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხალხისათვის არსებობს და ხალხს ემსახურება.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების გენერალურ პერსპექტივას. სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გეზს. ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიად აღმშენებლობითს საქმიანობას, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს ანიჭებს მის ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ყველა პარტიული ორგანიზაცია მოქმედებს სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში.

მუხლი 7. პროფესიული კავშირები, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთი საწესდებო ამოცანების შესაბამისად მონაწილეობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, პოლიტიკური, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული საკითხების გადაწყვეტაში.

მუხლი 8. შრომითი კოლექტივები მონაწილეობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა განხილვასა და გადაწყვეტაში, წარმოებისა და სოციალური განვითარების დაგეგმვაში, კადრების მომზადებასა და განაწილებაში, საწარმოთა და დაწესებულებათა მართვის, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, იმ სახსრების გამოყენების საკითხთა განხილვასა და გადაწყვეტაში, რომლებიც განკუთვნილია წარმოების განვითარებისათვის, აგრეთვე სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და მატერიალური წახალისებისათვის.

შრომითი კოლექტივები ავითარებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ხელს უწყობენ მუშაობის მოწინავე მეთოდების გავრცელებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, თავიანთ წევრებს ზრდიან კომუნისტური ზნეობის სულისკვეთებით, ზრუნავენ მათი პოლიტიკური შეგნებულობის, კულტურისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

მუხლი 9. საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებაა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოება: მოქალაქეთა სულ უფრო ფართო მონაწილეობა სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში, სახელმწიფო აპარატის სრულყოფა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობის ამაღლება, სახალხო კონტროლის გაძლიერება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცება, სიტყვიერების გაფართოება, საზოგადოებრივი აზრის მუდამ გათვალისწინება.

თავი 2.

ეკონომიკური სისტემა

მუხლი 10. საქართველოს სსრ ეკონომიკური სიხტემის საფუძველს შეადგენს წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება სახელმწიფო (საერთო-სახალხო) და საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების ფორმით.

სოციალისტური საკუთრებაა აგრეთვე პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონება, რომელიც მათ საწესდებო ამოცანების განსახორციელებლად სჭირდებათ.

სახელმწიფო იცავს სოციალისტურ საკუთრებას და ქმნის მისი შემდგომი ზრდის პირობებს.

არავის არა აქვს უფლება პირადი გამორჩენის და სხვა ანგარებითი მიზნით იყენებდეს სოციალისტურ საკუთრებას.

მუხლი 11. სახელმწიფო საკუთრება მთელი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილება, სოციალისტური საკუთრების ძირითადი ფორმაა.

მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს: მიწა, მისი წიაღი, წყალი, ტყე. სახელმწიფოს ეკუთვნის წარმოების ძირითადი საშუალებანი მრეწველობაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი, ბანკები, სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული სავაჭრო, კომუნალური და სხვა საწარმოების ქონება, ძირითადი საქალაქო სახლნაო ფონდი, აგრეთვე სახელმწიფოს ამოცანათა განხორციელებისათვის საჭირო სხვა ქონება.

მუხლი 12. კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების საკუთრებაა წარმოების საშუალებანი და სხვა ქონება, რომელიც სჭირდებათ მათ საწესდებო ამოცანების განხორციელებისათვის.

მიწა, რომელიც კოლმეურნეობებს უკავიათ, მათ აქვთ მიჩენილი უსასყიდლო და უვადო სარგებლობისათვის.

სახელმწიფო ხელს უწყობს საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების განვითარებას და მის დაახლოებას სახელმწიფო საკუთრებასთან.

კოლმეურნეობები, ისევე როგორც სხვა მიწათმოსარგებლენი, ვალდებულნი არიან ეფექტურად იყენებდნენ მიწას, უფრთხილდებოდნენ მას, ზრდიდნენ მის ნაყოფიერებას.

მუხლი 13. საქართველოს სსრ მოქალაქეების პირადი საკუთრების საფუძველს შეადგენს შრომითი შემოსავალი. პირად საკუთრებაში შეიძლება იყოს საყოფაცხოვრებო, პირადი მოხმარების, კეთილმოწყობისა და დამხმარე საოჯახო მეურნეობის საგნები, საცხოვრებელი სახლი და შრომითი დანაზოგი. მოქალაქეთა პირად საკუთრებას და მისი მემკვიდრეობის უფლებას სახელმწიფო იცავს.

მოქალაქეებს შეუძლიათ სარგებლობისათვის იქონიონ მიწის ნაკვეთები, რომლებიც მათ კანონით დადგენილი წესით ეძლევათ დამხმარე მეურნეობის გაძღოლისათვის (კერძოდ, პირუტყვისა და ფრინველის შენახვისათვის), მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის, აგრეთვე ინდივიდუალური სახლნაო მშენებლობისათვის. მოქალაქენი ვალდებული არიან რაციონალურად გამოიყენონ მათთვის მიცემული მიწის ნაკვეთები. სახელმწიფო და კოლმეურნეობები ხელს უწყობენ მოქალაქეებს დამხმარე მეურნეობის გაძღოლაში.

ქონება, რომელიც პირად საკუთრებად ან სარგებლობისათვის აქვთ მოქალაქეებს, არ შეიძლება იყოს არაშრომითი შემოსავლის მიღების წყარო, გამოყენებულ იქნეს საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგ.

მუხლი 14. საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის, ხალხისა და თითოეული საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესების წყაროა საბჭოთა ადამიანების შრომა, რომელიც თავისუფალია ექსპლოატაციისაგან.

შესაბამისად სოციალიზმის პრინციპისა: „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით", სახელმწიფო ახორციელებს კონტროლს შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი. იგი განსაზღვრავს დასაბეგრო შემოსავლის გადასახადის ოდენობას.

საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა და მისი შედეგები განსაზღვრავენ ადამიანის მდგომარეობას საზოგადოებაში. სახელმწიფო ერთმანეთს უხამებს მატერიალურ და მორალურ სტიმულებს, ახალისებს ნოვატორობას, შრომისადმი შემოქმედებითს დამოკიდებულებას და ხელს უწყობს იმას, რომ შრომა პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაექცეს ყოველ საბჭოთა ადამიანს.

მუხლი 15. სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი წარმოების უწინაესი მიზანია ყველაზე სრულად დაკმაყოფილოს ადამიანთა მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

სახელმწიფო ეფრდნობა მშრომელთა შემოქმედებითს აქტიურობას, სოციალისტურ შეჯიბრებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, სრულყოფს ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის ფორმებსა და მეთოდებს და უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას, სახალხო მეურნეობის დინამიკურ, გეგმაზომიერ და პროპორციულ განვითარებას.

მუხლი 16. საქართველოს სსრ ეკონომიკა შემადგენელი ნაწილია ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსისა, რომელიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წარმოების, განაწილებისა და გაცვლის ყველა რგოლს მოიცავს.

ეკონომიკის ხელმძღვანელობა ბორციელდება ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების საფუძველზე, დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების გათვალისწინებით, ისეთ პირობებში, როცა ცენტრალიზებული მართვა შეხამებულია საწარმოების, გაერთიანებებისა და სხვა ორგანიზაციების სამეურნეო დამოუკიდებლობასთან და ინიციატივასთან. ამასთან საქმიანურად გამოიყენება სამეურნეო ანგარიში, მოგება, თვითღირებულება, სხვა ეკონომიკური ბერკეტები და სტიმულები.

მუხლი 17. საქართველოს სს რესპუბლიკაში კანონის შესაბამისად ნებადართულია ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა შინამრეწველურ-ხელოსნური საარეწვის, სოფლის მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, აგრეთვე საქმიანობის სხვა სახეობანი, რომლებიც დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრთა პირად შრომაზე. სახელმწიფო აწესრიგებს ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას, უზრუნველყოფს მის გამოყენებას საზოგადოების ინტერესებისათვის.

მუხლი 18. ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში ბორციელდება საბერო ღონისძიებანი მიწისა და მისი წიაღის, წყლის რესურსების, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენების მიზნით, ჰაერისა და წყლის სისუფთავის შენარჩუნების, ბუნებრივ სიმდიდრეთა აღდგენა-გამრავლებისა და გარემო ბუნების გაუმჯობესების მიზნით.

თავი 3.

სოციალური განვითარება და კულტურა

მუხლი 19. საქართველოს სსრ სოციალურ საფუძველს შეადგენს მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ურღვევი კავშირი.

სახელმწიფო ხელს უწყობს საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნობის გაძლიერებას — კლასობრივი განსხვავებების, ქალაქსა და სოფელს, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავებების მოსპობას, სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივ განვითარებასა და დაახლოებას.

მუხლი 20. შესაბამისად კომუნისტური იდეალისა: „თითოეულის თავისუფალი განვითარება ყველას თავისუფალი განვითარების პირობაა", სახელმწიფო მიზნად ისახავს გააფართოოს რეალური შესაძლებლობანი მოქალაქეთა მიერ თავიანთი შემოქმედებითი ძალების, უნარისა და ნიჭის გამოყენებისათვის, პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

მუხლი 21. სახელმწიფო ზრუნავს შრომის პირობების გაუმჯობესებისა და დაცვისათვის, მისი მეცნიერული ორგანიზაციისათვის, მძიმე ფიზიკური შრომის შემცირებისა, მერე კი მისი მთლიანად განდევნისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საწარმოო პროცესთა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საფუძველზე.

მუხლი 22. საქართველოს სს რესპუბლიკაში თანამიმდევრულად ხორციელდება პროგრამა, რომლის მიზანია, რომ სასოფლო-სამეურნეო შრომა გადაიქცეს ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად; გაფართოვდეს სოფლად სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის დაწესებულებათა ქსელი; გარდაიქმნას სოფლები კეთილმოწყობილ დასახლებად.

მუხლი 23. შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე სახელმწიფო განუხრელად ახორციელებს კურსს, რომ ათმაღლოს შრომის ანაზღაურების დონე, შრომელთა რეალური შემოსავალი.

საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით იქმნება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების ფართო მონაწილეობით სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ ფონდების ზრდას და სამართლიან განაწილებას.

მუხლი 24. საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქმედებს და ვითარდება ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო სისტემები.

სახელმწიფო ხელს უწყობს კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას მოსახლეობის მომსახურების ყველა სფეროში. იგი ხელს უწყობს მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას.

მუხლი 25. საქართველოს სს რესპუბლიკაში არსებობს და იხვეწება სახალხო განათლების ერთიანი სიხტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ მომზადებას, ემსახურება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას, სულიერ და ფიზიკურ განვითარებას, ამზადებს მას შრომისა და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის.

მუხლი 26. საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაბამისად სახელმწიფო უზრუნველყოფს მეცნიერების გეგმაზომიერ განვითარებას და მეცნიერული კადრების მომზადებას, ორგანიზაციას უწევს მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვას სახალხო მეურნეობასა და ცხოვრების სხვა სფეროში.

მუხლი 27. სახელმწიფო ზრუნავს იმისათვის, რომ დაიცვას, ამრავლოს და ფართოდ გამოიყენოს სულიერი ღირებულებანი საბჭოთა ადამიანების ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის, მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ყოველნაირად ეწყობა ხელი პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას.

თავი 4.

საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა და სოციალისტური სამშობლოს დაცვა

მუხლი 28. საქართველოს სს რესპუბლიკა საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს საგარეო პოლიტიკის მიზნებით, ამოცანებითა და პრინციპებით, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის კონსტიტუციით.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ომის პროპაგანდა აკრძალულია.

მუხლი 29. სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სოციალისტური სამშობლოს დაცვა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს განეკუთვნება და მთელი ხალხის საქმეა.

სოციალისტურ მონაპოვართა, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის, სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით შექმნილია სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები და დაწესებულია საყოველთაო-სამხედრო ვალდებულება.

ხალხის წინაშე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მოვალეობაა საიმედოდ დაიცვან სოციალისტური სამშობლო, მუდამ მზად იყვნენ ბრძოლისათვის, რათა დაუყოვნებლივ უკუაგდონ ნებისმიერი აგრესორი.

მუხლი 30. საქართველოს სსრ მონაწილეობს ქვეყნის უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფაში, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ყველა საჭირო საშუალებით აღჭურვაში.

სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივი ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებს მოვალეობებს ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფისა და მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

II. სახელმწიფო და პიროვნება

თავი 5.

საქართველოს სსრ მოქალაქეობა. მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა

მუხლი 31. სსრ კავშირში დაწესებული ერთიანი საკავშირო მოქალაქეობის შესაბამისად საქართველოს სსრ ყოველი მოქალაქე სსრ კავშირის მოქალაქეა.

საბჭოთა მოქალაქეობის შეძენისა და დაკარგვის საფუძველს და წესს განსაზღვრავს კანონი სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ.

სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარგებლობენ საქართველოს სსრ მოქალაქეთა თანაბარი უფლებებით.

საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს სსრ მოქალაქეები სარგებლობენ საბჭოთა სახელმწიფოს დაცვითა და მფარველობით.

მუხლი 32. საქართველოს სსრ მოქალაქენი თანასწორი არიან კანონის წინაშე წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებების მიუხედავად.

საქართველოს სსრ მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა უზრუნველყოფილია ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

მუხლი 33. საქართველოს სს რესპუბლიკაში ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლებები აქვთ.

ამ უფლებათა განხორციელებას უზრუნველყოფს ქალებისათვის მამაკაცების თანასწორ შესაძლებლობათა მინიჭება განათლებისა და პროფესიული მომზადების მიღებაში, შრომასა და მის ანაზღაურებაში, სამსახურებრივ დაწინაურებაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში, აგრეთვე სპეციალური ღონისძიებანი ქალის შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში; ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც საშუალებას აძლევენ ქალებს შრომა შეუხამონ დედობას; დედათა და ბავშვთა სამართლებრივი დაცვა, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა, მათ შორის ორსული ქალებისა და დედებისათვის ფასიანი შვებულებებისა და სხვა შეღავათების მიცემა, მცირეწლოვან ბავშვთა დედების სამუშაო დროის თანდათან შემცირება.

მუხლი 34. საქართველოს სსრ სხვადასხვა რასისა და ეროვნების მოქალაქეებს თანასწორი უფლებები აქვთ.

ამ უფლებათა განხორციელებას უზრუნველყოფს სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივი განვითარებისა და დაახლოების პოლიტიკა, მოქალაქეთა სახელმწიფო ბატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, დედაენისა და სსრ კავშირის სხვა ხალხების ენების გამოყენების შესაძლებლობა.

მოქალაქეთა უფლებების ყოველგვარი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა, რასობრივი და ეროვნული ნიშნების მიხედვით მოქალაქეთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი უპირატესობების დაწესება, ისევე როგორც რასობრივი ან ეროვნული განსაკუთრებულობის, შუღლისა ან უგულებელყოფის ყოველგვარი ქადაგება, — კანონით იხჯება.

მუხლი 35. უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს სს რესპუბლიკაში გარანტირებული აქვთ კანონით გათვალისწინებული უფლებანი და თავისუფლებანი. მათ შორის იმის უფლება, რომ მიმართონ სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებს მათი კუთვნილი პირადი, ქონებრივი, ოჯახური და სხვა უფლებების დასაცავად.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირნი მოვალენი არიან პატივი სცენ სსრ კავშირის კონსტიტუციას, საქართველოს სსრ კონსტიტუციას და დაიცვან საბჭოთა კანონები.

მუხლი 36. საქართველოს სს რესპუბლიკა თავშესაფრის უფლებას აძლევს უცხოელებს, რომლებსაც დევნიან მშრომელთა ინტერესებისა და მშვიდობის საქმის დაცვისათვის, რევოლუციურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობისათვის. პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეცნიერული ან სხვაგვარი შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

თავი 6.

საქართველოს სსრ მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი, თავისუფლებანი და მოვალეობანი

მუხლი 37. საქართველოს სსრ მოქალაქეებს სრულად აქვთ მინიჭებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც გამოცხადებული და გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტატუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციითა და საბჭოთა კანონებით. სოციალისტური წესწყობილება უზრუნველყოფს უფლებათა და თავისუფლებათა გაფართოებას, მოქალაქეთა ცხოვრების პირობების განუწყვეტელ გაუმჯობესებას სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროგრამების შესრულების კვალობაზე.

მოქალაქეთა მიერ უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება არ უნდა ვნებდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს, სხვა მოქალაქეთა უფლებებს.

მუხლი 38. საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ შრომის უფლება, ანუ უფლება მიიღონ გარანტირებული სამუშაო მისი რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისი შრომის ანაზღაურებით, რომელიც არ უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები, — მათ შორის უფლება — აირჩიონ პროფესია, საქმიანობისა და სამუშაოს სახეობა მოწოდების, უნარის, პროფესი-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი)

ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

ული მომზადების, განათლების შესაბამისად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

ამ უფლებას უზრუნველყოფს მეურნეობის სოციალისტური სისტემა, საწარმოო ძალების განუხრელი ზრდა, უფასო პროფესიული სწავლება, შრომითი კვალიფიკაციის ამაღლება და ახალ სპეციალობათა სწავლება, პროფესიული ორიენტაციისა და შრომითი მოწყობის სისტემათა განვითარება.

მუხლი 39. საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეთათვის არა უმეტეს 41-საათიანი სამუშაო კვირის დაწესება და მთელი რიგი პროფესიებისა და წარმოებებისათვის დადგენილი შემცირებული სამუშაო დღე, ღამით მუშაობის შემცირებული ხანგრძლივობა; ყოველწლიური ფასიანი შვებულების მიცემა, ყოველკვირეული დასვენების დღეები, აგრეთვე კულტურულ საგანმანათლებლო და გამოჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება; საცხოვრებელ ადგილზე დასვენების ხელშემწყობი შესაძლებლობებისა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების სხვა პირობების შექმნა.

კოლმეურნეთა სამუშაო დროისა და დასვენების ხანგრძლივობას აწესრიგებენ კოლმეურნეობები.

მუხლი 40. საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ ჯანმრთელობის დაცვის უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ გაწეული უფასო კვალიფიციური სამედიცინო დახმარება; მოქალაქეთა სამკურნალო და ჯანმრთელობის გასაკაჟებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება; უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის განვითარება და სრულყოფა; ფართო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება; გარემოს გაჯანსაღების ღონისძიებანი; განსაკუთრებული ზრუნვა მოზარდი თაობის ჯანმრთელობისათვის, მათ შორის აკრძალვა ბავშვთა შრომისა, რომელიც დაკავშირებული არ არის სწავლებასა და შრომითს აღზრდასთან; დაავადებათა თავიდან აცილებისა და შემცირების, მოქალაქეთა ხანგრძლივი აქტიური ცხოვრების უზრუნველსაყოფად მეცნიერული კვლევის განვითარება.

მუხლი 41. საქართველოს სსრ მოქალაქეებს სიბერეში, ავადმყოფობის, შრომისუნარიანობის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის, აგრეთვე მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში აქვთ მატერიალური უზრუნველყოფის უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს მუშაობის, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების სოციალური დაზღვევა, დახმარება დროებითი შრომისუუნარობის გამო; პენსიები ასაკის, ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის გამო, რომლებიც გაიცემა სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების ხარჯზე; იმ მოქალაქეთა შრომითი მოწყობა, რომლებმაც ნაწილობრივ დაკარგეს შრომის უნარი; ზრუნვა ღრმადმოხუცებული მოქალაქეებისა და ინვალიდებისათვის; სოციალური უზრუნველყოფის სხვა ფორმები.

მუხლი 42. საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ ბინის უფლება. ამ უფლებას უზრუნველყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახლთა ფონდის განვითარება და დაცვა, კოოპერაციული და ინდივიდუალური სახლთა მშენებლობის ხელშეწყობა, კეთილმოწყობილი ბინების მშენებლობის პროგრამის განხორციელების კვალობაზე გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის სამართლიანი განაწილება საზოგადოებრივი კონტროლის გაწევით, აგრეთვე ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახდელის სიმცირე. საქართველოს სსრ მოქალაქენი მოვალენი არიან გაუფრთხილდნენ მათთვის მიცემულ ბინას.

მუხლი 43. საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს ყველა სახეობის უფასო განათლება, ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელება, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ფართოდ განვითარება ცხოვრებასთან და წარმოებასთან სწავლების კავშირის საფუძველზე; დაუსწრებელი და საღამოს განათლების განვითარება; სახელმწიფო სტიპენდიებისა და შეღავათების მიცემა მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის; სასკოლო სახელმძღვანელოების უფასო გაცემა; სკოლაში დედა-ენაზე სწავლების შესაძლებლობა; თვითგანათლების პირობების შექმნა.

მუხლი 44. საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ კულტურის მიღწევებით სარგებლობის უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფონდებში არსებული სამამულო და მსოფლიო კულტურის ღირებულებათა საყოველთაო მისაწვდომობა; რესპუბლიკის ტერიტორიაზე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა განვითარება და თანაბარზომიერი განლაგება; ტელევიზიისა და რადიოს, წიგნის გამოცემის საქმისა და პერიოდული პრესის, უფასო ბიბლიოთეკების ქსელის განვითარება; საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან კულტურული გაცვლის გაფართოება.

მუხლი 45. საქართველოს სსრ მოქალაქეებს კომუნისტური მშენებლობის მიზნების შესაბამისად გარანტირებული აქვთ მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების თავისუფლება. ამას უზრუნველყოფს მეცნიერული კვლევის, საგამომგონებლო და რაციონალიზატორული საქმიანობის ფართოდ გაშლა, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარება. სახელმწიფო ქმნის საამისოდ საჭირო მატერიალურ პირობებს, მხარს უჭერს ნებაყოფლობითს საზოგადოებებსა და შემოქმედებითს კავშირებს, ორგანიზაციას უწევს გამომგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას სახალხო მეურნეობასა და ცხოვრების სხვა სფეროებში.

ავტორთა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა უფლებებს სახელმწიფო იცავს.

მუხლი 46. საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში, საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის კანონებისა და გადაწყვეტილებების განხილვასა და მიღებაში.

ამ უფლებას უზრუნველყოფს შესაძლებლობა აირჩიონ და არჩეულ იქნენ სახალხო დეპუტატთა საბჭოებსა და სხვა არჩევითს სახელმწიფო ორგანოებში, მონაწილეობა მიიღონ საყოველთაო-სახალხო განხილვასა და კენჭისყრაში; სახალხო კონტროლში, სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობაში, შრომითს კოლექტივებში და საცხოვრებელ ადგილას გამართულ კრებებში.

მუხლი 47. საქართველოს სსრ ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება შეიტანოს სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში წინადადებანი მათი საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ, გააკრიტიკოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

თანამდებობის პირნი მოვალენი არიან დადგენილ ვადაში განიხილონ მოქალაქეთა წინადადებანი და განცხადებანი, გასცენ მათ პასუხი და მიიღონ საჭირო ზომები.

კრიტიკისათვის დევნა აკრძალულია. კრიტიკისათვის მდევნელი პირნი პასუხისგებაში მიეცემიან.

მუხლი 48. ხალხის ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური წესწყობილების განმტკიცება-განვითარების მიზნით საქართველოს სსრ მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების თავისუფლება.

ამ პოლიტიკურ თავისუფლებათა განხორციელებას უზრუნველყოფს მშრომელებისა და მათი ორგანიზაციებისათვის საზოგადოებრივი შენობების, ქუჩებისა და მოედნების დათმობა, ინფორმაციის ფართო გავრცელება, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს გამოყენების შესაძლებლობა.

მუხლი 49. კომუნისტური მშენებლობის მიზნების შესაბამისად საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ უფლება გაერთიანდნენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებად. რომლებიც ხელს უწყობენ პოლიტიკური აქტიურობისა და თვითმოქმედების განვითარებას, მათი მრავალფეროვანი ინტერესების დაკმაყოფილებას.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გარანტირებული აქვთ პირობები თავიანთი საწესდებო ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

მუხლი 50. საქართველოს სსრ მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ სინდისის თავისუფლება, ანუ უფლება — სწამდეთ ნებისმიერი რელიგია ან არ სწამდეთ არავითარი რელიგია, ასრულებდნენ რელიგიურ კულტებს ან ეწეოდნენ ათეისტურ პროპაგანდას. შეურაცხყოფა და სიძულვილის გაღვივება რელიგიურ სარწმუნოებებთან დაკავშირებით აკრძალულია.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და სკოლა — ეკლესიისაგან.

მუხლი 51. ოჯახს სახელმწიფო იცავს.

ქორწინებას საფუძვლად უდევს ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი თანხმობა; მეუღლეები მთლიანად თანასწორუფლებიანი არიან ოჯახურ ურთიერთობაში.

სახელმწიფო ზრუნავს ოჯახისათვის იმ გზით, რომ ქმნის და აკეთებს სიბავშვო დაწესებულებათა ფართო ქსელს, აწყობს და სრულყოფს საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი კვების სამსახურებს, გასცემს დახმარებას ბავშვის დაბადების გამო, აძლევს მრავალშვილიან ოჯახებს დახმარებასა და შეღავათებს, აგრეთვე უწევს ოჯახს სხვა დახმარებასა და შემწეობას.

მუხლი 52. საქართველოს სსრ მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ პიროვნების ხელშეუხებლობა. არ შეიძლება ვისმე დაპატიმრება ისე, თუ არ იქნა საფუძველი — სასამართლოს გადაწყვეტილება ან პროკურორის სანქცია.

მუხლი 53. საქართველოს სსრ მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ ბინის ხელშეუხებლობა. არავის არა აქვს უფლება კანონიერი საფუძვლის უქონლად შევიდეს ბინაში იქ მცხოვრებ პირთა ნების საწინააღმდეგოდ.

მუხლი 54. მოქალაქეთა პირად ცხოვრებას, მიმოწერის, სატელეფონო საუბრებისა და სატელეგრაფო შეტყობინების საიდუმლოს კანონი იცავს.

საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ პატივისცემა, მის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების მოვალეობაა.

საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ პატივისა და ღირსების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, პირადი თავისუფლებისა და ქონების ხელყოფისაგან სასამართლო დაცვის უფლება.

მუხლი 56. საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ უფლება გასაჩივრონ თანამდებობის პირების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მოქმედება. საჩივრები განხილულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ვადებში.

თანამდებობის პირთა მოქმედება, რომელიც არღვევს კანონს, ამეტებს უფლებამოსილებას, ლახავს მოქალაქეთა უფლებებს, შეიძლება კანონით დადგენილი წესით გასაჩივრდეს სასამართლოში.

საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ უფლება აინაზღაურონ ზარალი, რომელიც მათ უკანონო მოქმედებით მიაყენეს სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. აგრეთვე თანამდებობის პირებმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

მუხლი 57. უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება განეუფლება მოქალაქის მიერ თავის მოვალეობათა შესრულებისგან.

საქართველოს სსრ მოქალაქე ვალდებულია იცავდეს სსრ კავშირის კონსტიტუციას. საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და საბჭოთა კანონებს, პატივს სცემდეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, ღირსეულად ატარებდეს საბჭოთა მოქალაქის მაღალ წოდებას.

მუხლი 58. საქართველოს სსრ თითოეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმეა კეთილსინდისიერად შრომობდეს საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობის არჩეულ დარგში, იცავდეს შრომის დისციპლინას. საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის თავის არიდება შეუთავსებელია სოციალისტური საზოგადოების პრინციპებთან.

მუხლი 59. საქართველოს სსრ მოქალაქე მოვალეა უფრთხილდებოდეს და განამტკიცებდეს სოციალისტურ საკუთრებას. საქართველოს სსრ მოქალაქის მოვალეობაა ებრძოლეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებასა და მფლანგველობას, უფრთხილდებოდეს სახალხო დოვლათს.

სოციალისტური საკუთრების ხელმყოფი პირები ისჯებიან კანონის შესაბამისად.

მუხლი 60. საქართველოს სსრ მოქალაქე მოვალეა იცავდეს საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს, ხელს უწყობდეს მისი ძლიერებისა და ავტორიტეტის განმტკიცებას.

სოციალისტური სამშობლოს დაცვა საქართველოს სსრ თითოეული მოქალაქის წმიდათაწმიდა ვალია.

სამშობლოს ღალატი უმძიმესი დანაშაულია ხალხის წინაშე.

მუხლი 61. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში სამხედრო სამსახური საქართველოს სსრ მოქალაქეების საპატიო მოვალეობაა.

მუხლი 62. საქართველოს სსრ თითოეული მოქალაქის მოვალეობაა პატივს სცემდეს სხვა მოქალაქეთა ეროვნულ ღირსებას, განამტკიცებდეს საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთა და ეროვნებათა მეგობრობას.

მუხლი 63. საქართველოს სსრ მოქალაქე მოვალეა პატივს სცემდეს სხვა პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, შეურიგებელი იყოს ანტისაზოგადოებრივი საქციელისადმი. ყოველნაირად უწყობდეს ხელს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

მუხლი 64. საქართველოს სსრ მოქალაქენი მოვალენი არიან ზრუნავდნენ შვილების აღზრდისათვის, ამზადებდნენ მათ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის, ზრდიდნენ სოციალისტური საზოგადოების ღირსეულ წევრებად. შვილები მოვალენი არიან ზრუნავდნენ მშობლებისათვის და ეხმარებოდნენ მათ.

მუხლი 65. საქართველოს სსრ მოქალაქენი მოვალენი არიან უფრთხილდებოდნენ ბუნებას, იცავდნენ მის სიმდიდრეებს.

მუხლი 66. ისტორიული ძეგლებისა და სხვა კულტურულ ღირებულებათა შენარჩუნებისათვის ზრუნვა საქართველოს სსრ მოქალაქეთა ვალი და მოვალეობაა.

მუხლი 67. საქართველოს სსრ მოქალაქის ინტერნაციონალური მოვალეობაა ხელს უწყობდეს სხვა ქვეყნების ხალხებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებას, საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

III. საქართველოს სსრ ეროვნულ-სახელმწიფო და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობა

თავი 7.

საქართველოს სსრ მოკავშირე რესპუბლიკა სსრ კავშირის შემადგენლობაში

მუხლი 68. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო. კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობის, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცების, უშიშროებისა და თავდაცვის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, თავისუფალი თვითგამორკვევის შედეგად, ნებაყოფლობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან:

რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასთან,

უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან,

ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან,

უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან,

ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან,

აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან,

ლიტვის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან,

მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან,

ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან,

ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან,

ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან,

სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან,

თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან,

ესტონეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან ერთად გაერთიანდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად ერთად საკავშირო მრავალეროვან სახელმწიფოდ.

ამის საფუძველზე საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს სსრ კავშირისათვის მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით უფლებებს, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლით.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლით აღნიშნულ ფარგლებს გარეთ საქართველოს სსრ დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე.

მუხლი 69. საქართველოს სს რესპუბლიკა ინარჩუნებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას.

მუხლი 70. საქართველოს სსრ ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე.

საქართველოს სს რესპუბლიკასა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს შესაბამისი რესპუბლიკების ურთიერთშეთანხმებით, რომელიც უნდა დამტკიცოს სსრ კავშირმა.

მუხლი 71. საქართველოს სს რესპუბლიკაშია: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

საქართველოს სს რესპუბლიკაში არის: აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თეთრი წყაროს, თელავის, თერჯოლის, თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მარნეულის, მახარაძის, მესტიის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, საჩხერის, ხიდისწყლის, ქარელის, ყაზბეგის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხინვალის, წალენჯიხის, წალკის, წითელწყაროს, წულუკიძის, ხაშურის, ზობის რაიონები და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები: თბილისი, გორი, ზუგდიდი, რუსთავი, ტყიბული, ფოთი, ქუთაისი, წყალტუბო და ჭიათურა.

მუხლი 72. საქართველოს სს რესპუბლიკის გამგიბლობას შინა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით ექვემდებარება:

1) საქართველოს სსრ კონსტიტუციის მიღება და მასში ცვლილებათა შეტანა;

2) საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესრულებისადმი კონტროლი და საქართველოს სსრ კონსტიტუციასთან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციების შესაბამისობის უზრუნველყოფა;

3) საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობაში ახალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების შექმნა და შიმდგომი წარდგენა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად;

4) საქართველოს სსრ კანონმდებლობა;

5) სახელმწიფო წესრიგის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;

6) სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციისა და ხაქმიანობის წესის დადგენა;

7) ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარება; საქართველოს სსრ ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობა; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა უზრუნველყოფა;

8) საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავება და დამტკიცება, მათი შესრულების ანგარიშების დამტკიცება; აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების განხორციელებისადმი ხელმძღვანელობა;

9) სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად იმ შემოსავლის დადგენა, რომელიც საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შექმნას მოხმარდება;

10) სახალხო მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების დარგების, რესპუბლიკური დაქვემდებარების გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელობა;

11) მიწის, წიაღის, ტყისა და წყლის ხარგებლობის წესის დადგენა; გარემოს დაცვა;

12) საბინაო და კომუნალური მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, საბინაო მშენებლობისა და ქალაქების და სხვა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის, საგზაო მშენებლობისა და ტრანსპორტის ხელმძღვანელობა;

13) საქართველოს სსრ სახალხო განათლების, კულტურული და სამეცნიერო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, სოციალური უზრუნველყოფის ხელმძღვანელობა; ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვა;

14) ამნისტია და საქართველოს სსრ სახალამართლოების მიერ მსჯავრდებულ მოქალაქეთა შეწყალება;

15) საქართველოს სს რესპუბლიკის წარმომადგენლობა საერთაშორისო ურთიერთობაში;

16) რესპუბლიკური მნიშვნელობის სხვა საკითხების გადაწყვეტა.

მუხლი 73. საქართველოს სს რესპუბლიკა განსაზღვრავს თავის რაიონული დაყოფას და წყვეტს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობის სხვა საკითხებს.

მუხლი 74. საქართველოს სს რესპუბლიკა მონაწილეობს სსრ კავშირის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მთავრობასა და სსრ კავშირის სხვა ორგანოებში.

საქართველოს სს რესპუბლიკა თავის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. ხელს უწყობს ამ ტერიტორიაზე სსრ კავშირის უფლებამოსილების განხორციელებას, ასრულებს სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებებს.

საქართველოს სს რესპუბლიკა მის გამგებლობაში შემავალ საკითხებზე კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობას.

მუხლი 75. საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის.

საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს.

რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება.

მუხლი 76. საქართველოს სს რესპუბლიკას აქვს უფლება ურთიერთობა დაამყაროს უცხოეთის სახელმწიფოებთან, დაუდოს მათ ხელშეკრულებანი და გაუცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები, მონაწილეობდეს საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში.

მუხლი 77. სსრ კავშირის კანონები სავალდებულოა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

მუხლი 78. სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ სუვერენულ უფლებებს იცავს სსრ კავშირი.

თავი 8.

ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

მუხლი 79. ავტონომიური რესპუბლიკა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოა, რომელიც არის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში და, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უფლებათა ფარგლებს გარეთ, დამოუკიდებლად წყვეტს მის გამგებლობაში შემავალ საკითხებს.

ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია, რომელიც სსრ კავშირის კონსტიტუციასა და საქართველოს სსრ კონსტიტუციას შეესაბამება და ითვალისწინებს ავტონომიური რესპუბლიკის თავისებურებებს.

მუხლი 80. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მონაწილეობენ საქართველოს სს რესპუბლიკისა და სსრ კავშირის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა გადაწყვეტაში შესაბამისად საქართველოს სსრ და სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მეშვეობით.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზრუნველყოფენ კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას თავიანთ ტერიტორიებზე, ხელს უწყობენ ამ ტერიტორიებზე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უფლებამოსილების აღსრულებას, ახორციელებენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებებს.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მათს გამგებლობაში შემავალ საკითხებზე კოორდინაციას უწევენ და აკონტროლებენ საკავშირო და რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას.

მუხლი 81. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მათი თანხმობის გარეშე.

მუხლი 82. საქართველოს სსრ კანონები სავალდებულოა და ერთნაირი ძალა აქვთ ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

საქართველოს სსრ კანონისაგან ავტონომიური რესპუბლიკის კანონის განსხვავების შემთხვევაში მოქმედებს საქართველოს სსრ კანონი.

თავი 9.

ავტონომიური ოლქი

მუხლი 83. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობაშია.

მუხლი 84. კანონს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ იღებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ამ ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს წარდგინებით.

IV. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მათი არჩევის წესი

თავი 10.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების სისტემა და მათი საქმიანობის პრინციპები

მუხლი 85. სახალხო დეპუტატთა საბჭოები — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო, ქალაქების რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოები — სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ერთიან სისტემას შეადგენენ.

მუხლი 86. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილების ვადა ორ-ნახევარი წელია.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების არჩევნები ინიშნება არაუგვიანეს ორი თვისა შესაბამისი საბჭოების უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

მუხლი 87. სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების გამგებლობას მიკუთვნებული უმნიშვნელოვანესი საკითხები განიხილება და წყდება მათ სესიებზე.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები ირჩევენ მუდმივ კომისიებს, ქმნიან აღმასრულებელ და განმკარგულებელ, აგრეთვე სხვა მათ წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებს.

მუხლი 88. სახალხო დეპუტატთა საბჭოები ქმნიან ორგანოებს სახალხო კონტროლისა, რომელიც სახელმწიფო კონტროლს უხამებს მშრომელთა საზოგადოებრივ კონტროლს საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

სახალხო კონტროლის ორგანოები კონტროლს უწევენ სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების შესრულებას; ებრძვიან სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებს, კუთხურობის, საქმისადმი უწყებრივი მიდგომის გამოვლინებებს, უფაიდაობასა და მფლანგველობას, საქმის გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმს; ხელს უწყობენ სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყოფას.

სახალხო დეპუტატთა საბჭოებს საქმიანობას საფუძვლად უდევს საკითხების კოლექტიური, თავისუფალი, საქმიანი განხილვა და გადაწყვეტა, საჯაროობა, აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, საბჭოების მიერ შექმნილი სხვა ორგანოების რეგულარული ანგარიშგება საბჭოებისა და მოსახლეობის წინაშე, მოქალაქეთა ფართო ჩაბმა მათს მუშაობაში.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მათ მიერ შექმნილი ორგანოები სისტემატურად აცნობებენ მოსახლეობას თავიანთ მუშაობას და მიღებულ გადაწყვეტილებებს.

თავი 11.

საარჩევნო სისტემა

მუხლი 91. სახალხო დეპუტატთა ყველა საბჭოს დეპუტატებს ირჩევენ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

მუხლი 92. დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: საქართველოს სსრ ყველა მოქალაქე, რომელსაც თვრამეტი წელი შეუსრულდა, უფლება აქვს აირჩიონ და იყოს არჩეული. გარდა იმ პირებისა, რომლებიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან შეზღუდულად.

მუხლი 93. დეპუტატთა არჩევნები თანასწორია: ყოველ ამომრჩეველს მხოლოდ ერთი ხმა აქვს; ყველა ამომრჩეველი თანასწორ საფუძველზე მონაწილეობს არჩევნებში.

მუხლი 94. დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია: სახალხო დეპუტატთა ყველა საბჭოს დეპუტატებს მოქალაქეები უშუალოდ ირჩევენ.

მუხლი 95. დეპუტატთა არჩევნების დროს კენჭისყრა ფარულია: ამომრჩეველთა ნება-სურვილის გამოვლინებისადმი კონტროლი არ დაიშვება.

მუხლი 96. დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება აქვთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციებს, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებს, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს მიერ წარგზავნილი წარმომადგენლებისაგან იქმნება.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების არჩევნების ჩატარების წესს განსაზღვრავს

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

განხორციელებას, კონტროლს უწევენ სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობას.

თავის საქმიანობაში დეპუტატი ხელმძღვანელობს საერთო-სახელმწიფო ინტერესებით, ითვალისწინებს საარჩევნო ოლქის მოსახლეობის მოთხოვნილებებს, იღვწის ამომრჩეველთა განწესების შესრულებისათვის.

მუხლი 100. დეპუტატი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას არ წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას.

საბჭოს სხვის დროს, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში დეპუტატის უფლებამოსილების განსახორციელებლად დეპუტატი თავისუფლდება საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან და ენახება საშუალო ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილზე.

მუხლი 101. დეპუტატს უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, რომლებიც ვალდებული არიან უპასუხონ ამ შეკითხვას საბჭოს სხვიაზე.

დეპუტატს უფლება აქვს მიმართოს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას დეპუტატის საქმიანობის საკითხებზე და მონაწილეობა მიიღოს მის მიერ აღძრული საკითხების განხილვაში. შესაბამისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ მიიღონ დეპუტატი და განიხილონ მისი წინადადებანი დადგენილ ვადაში.

მუხლი 102. დეპუტატისათვის უზრუნველყოფილია მის უფლება-მოვალეობათა დაუბრკოლებელი და ეფექტიანი განხორციელების პირობები.

დეპუტატის ხელშეუხებლობა, აგრეთვე დეპუტატის საქმიანობის სხვა გარანტიები დადგენილია კანონით. დეპუტატთა სტატუსის შესახებ და სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 103. დეპუტატი ვალდებულია ანგარიში ჩააბაროს თავისი მუშაობისა და საბჭოს მუშაობის შესახებ ამომრჩევლებს, აგრეთვე კოლექტივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებმაც იგი დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

დეპუტატი, რომელიც ვერ გაამართლებს ამომრჩეველთა ნდობას, ნებისმიერ დროს შეიძლება გაწვეულ იქნეს ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

V. საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები

თავი 13.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო

მუხლი 104. საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია წყვეტდეს ყველა საკითხს, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციით და ამ კონსტიტუციით საქართველოს სს რესპუბლიკის გამგებლობას განეკუთვნება.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის მიღებას, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას; საქართველოს სსრ შემადგენლობაში ახალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების შექმნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად მათი შემდგომი წარდგენით; საქართველოს სსრ ეკონომიური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტისა და მათი შესრულების ანგარიშების დამტკიცებას, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების შექმნას მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ახორციელებს.

საქართველოს სსრ კანონები მიიღება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ ან სახალხო კენჭისყრით (რეფერენდუმით), რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ეწყობა.

მუხლი 105. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო შედგება 440 დეპუტატისაგან, რომლებსაც ირჩევენ საარჩევნო ოლქების მიხედვით, სადაც მოსახლეობის თანაბარი რაოდენობაა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო მის მიერ არჩეული სამანდატო კომისიის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ. არჩევნების კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში კი ცალკეული დეპუტატების არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ.

მუხლი 106. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ირჩევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს და მის ოთხ მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს უმაღლესი საბჭოს სხდომებს და განაგებს მის შინაგაანწესებას.

მუხლი 107. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხვიებს იწვევენ წელიწადში ორჯერ.

რიგგარეშე სხვიებს იწვევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თავისი ინიციატივით, ან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა სულ ცოტა მესამედის წინადადებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხვია შედგება მისი სხდომებისაგან, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი და სხვა კომისიების სხდომებისაგან, რომლებიც უმაღლესი საბჭოს სხდომებს შუა პერიოდში ეწყობა.

მუხლი 108. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოში ეკუთვნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკებს მათი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სახით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ და სხვა კომისიებს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს, საქართველოს სსრ პროკურორს.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი რესპუბლიკური ორგანოების სახით.

მუხლი 109. კანონების პროექტებსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად შეტანილ სხვა საკითხებს განიხილავენ მის სხდომებზე. საჭიროების შემთხვევაში კანონის პროექტი ან შესაბამისი საკითხი შეიძლება წინასწარი ან დამატებითი განხილვისათვის გადაეცეს ერთ, ანდა რამდენიმე კომისიას.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები მიიღება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის უმრავლესობით.

საქართველოს სსრ კანონების პროექტები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეიძლება გამოტანილ იქნეს სახალხო განხილვისათვის.

მუხლი 110. საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები ქვეყნდება ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქებისათვის — აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ენაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით.

მუხლი 111. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აქვს უფლება შეკითხვით მიმართოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, მინისტრებსა და სხვა ორგანოების ხელმძღვანელებს, რომლებსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ქმნის, აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს საქართველოს სსრ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ან თანამდებობის პირი, რომელსაც შეკითხვით მიმართეს, მოვალეა არაუგვიანეს ზუპირი ან წერილობითი პასუხი გასცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სხვიაზე.

მუხლი 112. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ხისლის სამართლის პასუხისგებაში ვერ მისცემენ, ვერ დააპატიმრებენ ან სასამართლო წესით ადმინისტრაციულ სასჯელს ვერ დაადებენ, თუ არ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თანხმობა, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობა.

მუხლი 113. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ირჩევს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც მთელ თავის საქმიანობაში ანგარიშვალდებულია მის წინაშე, და კონსტიტუციით გათვალისწინებულ ფარგლებში ახორციელებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციებს უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში.

მუხლი 114. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ირჩევენ დეპუტატებისაგან შემდეგი შემადგენლობით: უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, თავმჯდომარის სამი მოადგილე, მათ შორის ორი მოადგილე ავტონომიური რესპუბლიკებისაგან, პრეზიდიუმის მდივანი და საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციებს უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში.

მუხლი 115. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი:

1) კოორდინაციას უწევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობას;

2) კონტროლს უწევს საქართველოს სსრ კონსტიტუციის დაცვას და უზრუნველყოფს, რომ ავტონომიურ რესპუბლიკათა კონსტიტუციები და კანონები შეესაბამებოდეს საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და კანონებს;

3) ხელმძღვანელობს ადგილობრივი საბჭოების საქმიანობას;

4) ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოების არჩევნებს;

5) იწვევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებს;

6) ადგენს საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობის საკითხთა გადაწყვეტის წესს; ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკების რაიონულ დაყოფას, ადგენს და ცვლის ავტონომიური ოლქის საზღვრებსა და რაიონულ დაყოფას; ქმნის ქალაქებს რაიონებში და რაიონებს ქალაქებში; ადგენს ქალაქების დაქვემდებარებას; სახელს უცვლის რაიონებს, ქალაქებსა და ქალაქების რაიონებს, დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებს;

7) ნიშნავს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნებს;

8) განმარტავს საქართველოს სსრ კანონებს;

9) აუქმებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების გადაწყვეტილებებს, თუ ისინი არ შეესაბამება კანონს;

10) აწესებს და ანიჭებს საქართველოს სსრ საპატიო წოდებებს; აჯილდოებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით;

11) აძლევს საქართველოს სსრ მოქალაქეობას; წყვეტს თავშესაფრის უფლების მიცემის საკითხებს;

12) ახორციელებს საქართველოს სსრ სახამართლოების მიერ მსჯავრდებულ მოქალაქეთა შეწყალებას;

13) ახდენს საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციასა და დენონსაციას;

14) ნიშნავს საქართველოს სსრ დიპლომატიურ წარმომადგენლებს უცხოეთის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში და გამოიწვევს მათ იქიდან;

15) იღებს მასთან აკრედიტებული უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლების რწმუნებულებისა და გაწვევის სიგელებს;

16) ახორციელებს საქართველოს სსრ კონსტიტუციითა და კანონებით დადგენილ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 110. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში მორიგ სესიაზე დასამტკიცებლად შემდგომი წარდგენის პირობით:

1) შეაქვს საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები საქართველოს სსრ მოქმედ საკანონმდებლო აქტებში;

2) ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკების საზღვრების შეცვლას, ქმნის რაიონებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებს;

3) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებით ქმნის და აუქმებს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტებს;

4) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით თანამდებობიდან ათავისუფლებს და ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალ ცალკეულ პირებს.

მუხლი 117. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოსცემს ბრძანებულებებს და იღებს დადგენილებებს.

მუხლი 118. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თავის უფლებამოსილებას ინარჩუნებს საქართველოს სსრ ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს მიერ ახალი პრეზიდიუმის შექმნამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინა შემადგენლობის პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ ახლად არჩეული უმაღლესი საბჭო უნდა მოიწვიოს არჩევნებიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

მუხლი 119. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო დეპუტატებისაგან ირჩევს მუდმივ კომისიებს იმისათვის, რომ მათ წინასწარ განიხილონ და მოამზადონ მის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, აგრეთვე ხელი შეუწყონ საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების განხორციელებას, კონტროლი გაუწიონ სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, როცა საჭიროდ მიაჩნია, ქმნის მის კომპეტენციაში შემავალი ნებისმიერი საკითხის გამო ხელმოძიებო, სარევიზიო და სხვა კომისიებს.

ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანო, ორგანიზაცია და თანამდებობის პირი ვალდებულია შეასრულოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიების მოთხოვნები, წარუდგინოს მათ საჭირო მასალები და დოკუმენტები.

კომისიების რეკომენდაციები აუცილებლად უნდა განიხილონ სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა. განხილვის შედეგები ან მიღებული ღონისძიებები უნდა ეცნობოს კომისიებს დადგენილ ვადაში.

მუხლი 120. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო კონტროლს უწევს მის წინაშე ანგარიშვალდებულ ყველა სახელმწიფო ორგანოს საქმიანობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ქმნის საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს, რომელიც მეთაურობს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოების სისტემას.

მუხლი 121. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი ორგანოების საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი და საქართველოს სსრ სხვა კანონები, რომლებიც ამ კონსტიტუციის საფუძველზე გამოიცემა.

თავი 14.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

მუხლი 122. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო — საქართველოს სსრ მთავრობა — საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო.

მუხლი 123. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქმნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები, საქართველოს სსრ მინისტრები, საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს შეუძლია საქართველოს სსრ მთავრობის შემადგენლობაში შეიყვანოს საქართველოს სსრ სხვა ორგანოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თავის უფლებამოსილებას იხსნის ბაქართველოს სსრ ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს წინაშე მის პირველ სესიაზე.

მუხლი 124. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინაშე, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თავისი მუშაობის შესახებ რეგულარულად ანგარიშს აბარებს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

მუხლი 125. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სახელმწიფო მმართველობის ყველა საკითხი, რომლებიც საქართველოს სს რესპუბლიკის გამგებლობაშია, რამდენადაც ეს საკითხები კონსტიტუციის თანახმად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომპეტენციაში არ შედის.

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო:

1) უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობას; შეიმუშავებს და ახორციელებს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურის ამაღლების უზრუნველყოფის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებებს; ხელს უწყობს ფულისა და კრედიტის სისტემის განმტკიცების, სახელმწიფო დაზღვევის და აღრიცხვისა და სტატისტიკის ერთიანი სისტემის ორგანიზაციის ღონისძიებათა განხორციელებას; მონაწილეობს ფასების, შრომის ანაზღაურების, სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი პოლიტიკის გატარებაში; ორგანიზაციას უწევს სამრეწველო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და გაერთიანებების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოების, აგრეთვე რესპუბლიკური დაქვემდებარების სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მართვას;

2) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში შეაქვს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული სახელმწიფო გეგმები, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი, იღებს ზომებს საქართველოს სსრ სახელმწიფო გეგმებისა და ბიუჯეტის განხორციელებისათვის, ეკონომიკური რაიონების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის კომპლექსური განვითარების უზრუნველყოფისათვის; კოორდინაციასა და კონტროლს უწევს საკავშირო დაქვემდებარების, საწარმოებს. დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას საქართველოს სსრ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წარუდგენს გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებს;

3) ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო ინტერესების, სოციალისტური საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვავად, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფად და დასაცავად;

4) იღებს ზომებს სსრ კავშირის კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში სახელმწიფო უშიშროების უზრუნველსაყოფად და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად;

5) ხელმძღვანელობს საქართველოს სს რესპუბლიკის ურთიერთობას უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან იმ წესის მიხედვით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის მიერ მოკავშირე რესპუბლიკების ურთიერთობისათვის უცხოეთის სახელმწიფოებთან;

6) ქმნის საჭიროების შემთხვევაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან რესპუბლიკის სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საქმეთა კომიტეტებს, მთავარ სამმართველოებსა და სხვა უწყებებს;

7) წარმართავს და კონტროლს უწევს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მუშაობას, ხელმძღვანელობს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობას.

მუხლი 126. სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების და სახელმწიფო მართვის სხვა საკითხების გადასაწყვეტად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი ორგანოს სახით მოქმედებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების, აგრეთვე მთავრობის სხვა წევრების შემადგენლობით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონის შესაბამისად.

მუხლი 127. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს, ორგანიზაციას უწევს და ამოწმებს მათ შესრულებას. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულება სავალდებულოა საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 128. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში აქვს უფლება შეაჩეროს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულება, აგრეთვე გააუქმოს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, მისი სხვა საქვეუწყებო ორგანოების აქტები.

მუხლი 129. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ერთიანებს და წარმართავს საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და მისი სხვა საქვეუწყებო ორგანოების მუშაობას.

საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები ხელმძღვანელობენ მათ ხელქვეშ მყოფ ორგანოებთან, ადგილობრივ ორგანოებთან, ეკონომიკურ ორგანოებთან, ასევე ინტერესებს ითვალისწინებენ ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული კულტურის, ეროვნული ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, ეროვნული-კულტურული, ეროვნული-ეკონომიკური, ეროვნული-ეკოლოგიური ინტერესებისა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

მუხლი 139. თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები უზრუნველყოფენ კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას თავის ტერიტორიაზე; კონტროლს უწევენ ამ ტერიტორიაზე განლაგებულა ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ნორმა კანონმდებლობის დაცვას, კოორდინაციასა და კონტროლს უწევენ მათს საქმიანობას მიწათსარგებლობის, ბუნებას დაცვის, მშენებლობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებას, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების დარგში.

მუხლი 140. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები იღებენ გადაწყვეტილებებს მათთვის სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში — აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების კანონებით მინიჭებულ ფარგლებში.

ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის, აგრეთვე თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის.

მუხლი 141. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სესიას იწვევენ მათი აღმასრულებელი კომიტეტები ხულ ცოტა წელიწადში ოთხჯერ.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები უფლებამოსილი არიან განიხილონ და გადაწყვიტონ სესიებზე ნებისმიერი საკითხი, რომლებსაც მათს გამგებლობას განაკუთვნებს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა. იმ საკითხების ნუსხას, რომლებსაც განიხილავენ და წყვეტენ მხოლოდ და მხოლოდ სესიებზე, ადგენენ კანონები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების შესახებ.

მუხლი 142. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები დეპუტატთაგან ირჩევენ მუდმივ კომისიებს, რათა მათ წინასწარ განიხილონ და მოამზადონ ადგილობრივი საბჭოების გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, აგრეთვე ხელი შეუწყონ საბჭოების გადაწყვეტილებათა განხორციელებას, კონტროლი გაუწიონ სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას.

ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების რეკომენდაციები აუცილებლად უნდა განიხილონ შესაბამისმა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა. განხილვის შედეგები ან მიღებული ღონისძიებები უნდა ეცნობოს კომისიებს დადგენილ ვადაში.

მუხლი 143. ზემდგომი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ ქვემდგომი საბჭოების საქმიანობის ხელმძღვანელობას.

ზემდგომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ გაუქმონ ქვემდგომი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების აქტები იმ შემთხვევაში, თუ ეს აქტები არ შეესაბამება კანონს.

მუხლი 144. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და შრომითს კოლექტივებთან მჭიდრო კავშირით, გამოაქვეთ ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხები მოქალაქეთა განსახილველად, აბამენ მათ მუდმივი კომისიების, აღმასრულებელი კომიტეტებისა და საბჭოებისადმი სხვა ანგარიშვალდებული ორგანოების მუშაობაში, წარმართავენ ადგილობრივი ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობას და ავითარებენ მოსახლეობის საზოგადოებრივ თვითმოქმედებას.

თავი 18.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები

მუხლი 145. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოებია აღმასრულებელი კომიტეტები, რომლებსაც ისინი დეპუტატებისაგან ირჩევენ თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, მდივნისა და წევრების შემადგენლობით.

აღმასრულებელი კომიტეტები წელიწადში ერთხელ მაინც ანგარიშს აბარებენ საბჭოებს, რომლებმაც ისინი აირჩიეს, აგრეთვე შრომითი კოლექტივებისა და საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა კრებებს.

მუხლი 146. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები უშუალოდ ანგარიშვალდებული არიან როგორც მათი ამრჩევი საბჭოს, ისე ზემდგომი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოს წინაშე.

მუხლი 147. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ხელმძღვანელობენ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას შესაბამისი საბჭოების ტერიტორიაზე, მათი ამრჩევი საბჭოებისა და სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

აღმასრულებელი კომიტეტები იწვევენ საბჭოების სესიებს, კოორდინაციას უწევენ საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობას, ხელს უწყობენ დეპუტატებს მათი უფლებამოსილების განხორციელებაში, ორგანიზაციას უწევენ საბჭოებისა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებების, აგრეთვე ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას, ხელმძღვანელობენ მათდამი დაქვემდებარებულ მმართველობის ორგანოებს.

მუხლი 148. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში იღებენ გადაწყვეტილებებს და გამოსცემენ განკარგულებებს.

მუხლი 149. ზემდგომ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ გაუქმონ ქვემდგომი სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი.

მუხლი 150. აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებები და სამმართველოები, რომლებსაც ქმნიან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული საბჭოები, თავიანთ საქმიანობაში ემორჩილებიან როგორც საბჭოებსა და მათს აღმასრულებელ კომიტეტებს. ისე სახელმწიფო მმართველობის შესაბამის ზემდგომ ორგანოებს.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებისა და სამმართველოების ნუსხას და მათი შექმნის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

მუხლი 151. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ მათი აღმასრულებელი კომიტეტები ინარჩუნებენ თავიანთ უფლებამოსილებას ახალი მოწვეული სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების არჩევამდე.

VIII. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი

თავი 19.

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმა

მუხლი 152. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთიანი სახელმწიფო გეგმის შემადგენელი ნაწილია.

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმები შემუშავდება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი ამოცანებისა და მიმართულებების შესაბამისად და მიზნად ისახავს რესპუბლიკის კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფას.

მუხლი 153. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმა განსაზღვრავს ეკონომიკის, სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანებს, შეიცავს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახალხო მეურნეობის დარგებისა და ეკონომიკური რაიონების განვითარების კომპლექსურ პროგრამებს, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოების გეგმებს, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებს.

მუხლი 154. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმას შეიმუშავებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საერთო-სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად და საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კოლექტივების, აგრეთვე სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების წინადადებათა გათვალისწინებით და შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

მუხლი 155. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-სახიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნების მიხედვით იხილავს და ამტკიცებს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმას.

მუხლი 156. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ორგანიზაციას უწევს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულებას და ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს სახალხო მეურნეობაში საგეგმო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

მუხლი 157. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულების ანგარიშებს იხილავს და ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. გეგმების შესრულების ზოგადი მაჩვენებლები ქვეყნდება საყოველთაო გაცნობისათვის.

თავი 20.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი

მუხლი 158. საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი სსრ კავშირის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია.

მუხლი 159. საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი ერთიანებს საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტს, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებს.

მუხლი 160. საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის გამიჯვნას საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტს, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის განსაზღვრავს კანონი საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 161. საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს შეიმუშავებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოახსენებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-სახიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნების მიხედვით.

მუხლი 162. საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. ბიუჯეტის შესრულების ზოგადი მაჩვენებლები ქვეყნდება საყოველთაო გაცნობისათვის.

IX. მართლმსაჯულება, არბიტრაჟი და საპროკურორო ზედამხედველობა

თავი 21.

სასამართლო და არბიტრაჟი

მუხლი 163. მართლმსაჯულებას საქართველოს სს რესპუბლიკაში ახორციელებს მხოლოდ სასამართლო.

საქართველოს სსრ სასამართლოები არიან: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოები, თბილისის საქალაქო სასამართლო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები.

საქართველოს სსრ სასამართლოების ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონები.

მუხლი 164. საქართველოს სს რესპუბლიკაში ყველა სასამართლო იქმნება მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობის საწესებზე.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს რაიონის (ქალაქის) მოქალაქეები ირჩევენ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე მათს სამუშაო ან საცხოვრებელ ადგილას ღია კენჭისყრით ორ-ნახევარი წლის ვადით.

ზემდგომ სასამართლოებს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები ირჩევენ ხუთი წლის ვადით.

მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები პასუხისმგებელი არიან ამომრჩევლების ან ამრჩევი ორგანოების წინაშე, ანგარიშს აბარებენ მათ და შეიძლება მათ მიერ გაწვეულ იქნენ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 165. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ორგანოა და ზედამხედველობას უწევს საქართველოს სსრ სასამართლოების სასამართლო საქმიანობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ირჩევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, წევრებისა და სახალხო მსაჯულებით შემადგენლობით.

მუხლი 166. სამოქალაქო და ხასლის სამართლის საქმეებს განიხილავ უველა სასამართლოში ხდება კოლეგიურად; პირველი ინსტანციის სასამართლოში — სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით. სახალხო მსაჯულებს მართლმსაჯულების განხორციელების დროს მოსამართლის ყველა უფლება აქვთ.

მუხლი 167. მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

მუხლი 168. საქართველოს სს რესპუბლიკაში მართლმსაჯულება ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე.

მუხლი 169. საქმის გარჩევა ყველა სასამართლოში ღია. სასამართლოს დასურულ სხდომაზე საქმეთა მოსმენა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში, სამართალწარმოების ყველა წესის დაცვით.

მუხლი 170. ბრალდებულისთვის უზრუნველყოფილია დაცვის უფლება.

მუხლი 171. სამართალწარმოება საქართველოს სს რესპუბლიკაში ხორციელდება ქართულ ენაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ენაზე, ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე. საქმის მონაწილე პირებისათვის, რომლებმაც არ იციან მიმდინარე სამართალწარმოების ენა, უზრუნველყოფილია თარჯიმნის მეშვეობით საქმის მასალების სრული გაცნობისა და სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობის უფლება. სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლება.

მუხლი 172. არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დადგეს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, თუ არა სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად.

მუხლი 173. მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გასაწევად მოქმედებენ ადვოკატთა კოლეგიები. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოქალაქენი უფასოდ იღებენ იურიდიულ დახმარებას.

ადვოკატურის ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

მუხლი 174. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სამართალწარმოებაში დასაშვებია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობა.

მუხლი 175. საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის სამეურნეო დავას წყვეტენ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები მათი კომპეტენციის ფარგლებში.

თავი 22.

პროკურატურა

მუხლი 176. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, კოლმეურნეობების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირების, აგრეთვე მოქალაქეების მიერ კანონების ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულებისადმი უმაღლესი ზედამხედველობა ხორციელდება როგორც სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მიერ უშუალოდ, ისე მისდამი დაქვემდებარებული საქართველოს სსრ პროკურორისა და ქვემდგომი პროკურორების მეშვეობით.

მუხლი 177. საქართველოს სსრ პროკურორს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორებს ნიშნავს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

რაიონულ და საქალაქო პროკურორებს ნიშნავს საქართველოს სსრ პროკურორი და ამტკიცებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

მუხლი 178. საქართველოს სსრ პროკურორისა და ყველა ქვემდგომი პროკურორის უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია.

მუხლი 179. პროკურატურის ორგანოები თავიანთ უფლებამოსილებას ყოველგვარი ადგილობრივი ორგანოსაგან დამოუკიდებლად ახორციელებენ და მხოლოდ სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს ემორჩილებიან.

X. საქართველოს სსრ გერბი, ალამი, ჰიმნი და დედაქალაქი

მუხლი 180. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი წარმოადგენს წრეს, რომლის ზედა ნაწილში, წითელ ფონზე, გამოსახულია მნათი ხუთქიმიანი ვარსკვლავი გამლილი სხივებით; ქვემოთ — დათოვლილი ცისფერი მთაგრეხილია შუაში აღმართული თოვლიანი მწვერვალით; წრის ქვედა ნაწილში გამოსახულია: მარჯვნივ — ოქროს ვაზი ყურძნის მტევნით; მარცხნივ — ოქროს სამი თავთავი, თავთავებისა და ვაზის ბოლოები გადახლართულია ერთმანეთში წრის ქვედა კიდესთან; შუაგულის დიდი ნაწილი უჭირავს ოქროს ნამგლისა და უროს გამოსახულებას, რომელიც ეჯენებაა: ზემოთ — ვარსკვლავის გაშლილ სხივებს, ქვემოთ — მთაგრეხილის მწვერვალს, ხოლო გვერდებზე — თავთავებსა და ვაზს; ნამგლისა და უროს ქვემოთ არის წარწერა ქართულ და რუსულ ენებზე: „სსსრ“; წრეს გარს შემოვლებული აქვს ქართული ჩუქურთმიანი არშია, რომლის შიდა რკალზე, თეთრ ფონზე მოთავსებულია ორი მცირე ვარსკვლავით გამიჯნული წარწერა ქართულ და რუსულ ენებზე: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერიღით!“.

მუხლი 181. საქართველოს სსრ სახელმწიფო ალამი წარმოადგენს მართკუთხა წითელ ქსოვილს. სიგანის შეფარდება სიგრძესთან არის 1:2. ზედა კუთხეში ტართან მოთავსებულია ცისფერი კვადრატი, რომლის მხარე დროშის სიგანის ნახევარს უდრის. კვადრატის შუაგულში წრეა, რომლის რადიუსი კვადრატის მხარის მესამედს შეადგენს. წრეში ნამგალი და ურო, მათ თავზე — ხუთქიმიანი ვარსკვლავი, წრიდან კვადრატის მხარეებს 24 სხივი ეფინება. ნამგალი, ურო, ვარსკვლავი და სხივები წითელი ფერისაა. კვადრატის მარჯვენა მხარის შუაგულიდან დროშას მთელ სიგრძეზე გასდევს ცისფერი ზოლი, რომლის სიგანე კვადრატის მხარის მესამედია.

მუხლი 182. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნს ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 183. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი არის ქალაქი თბილისი.

XI. საქართველოს სსრ კონსტიტუციის მოქმედება და მისი შეცვლის წესი

მუხლი 184. საქართველოს სსრ ყველა კანონი და სახელმწიფო ორგანოების სხვა აქტები გამოიცემა ამ კონსტიტუციის საფუძველზე და მის შესაბამისად.

მუხლი 185. საქართველოს სსრ კონსტიტუციის შეცვლა ხდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელსაც მიიღებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის ხულ ცოტა ორი მესამედის უმრავლესობა.

ამხ. ა. ნ. კოსიგინი მოგზაურობს

საკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი 21 მარტს ორენბურგში ჩავიდა. მან დათვალიერა გაზის გადასამუშავებელი ქარხანა, ესაუბრა მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს. ა. ნ. კოსიგინმა სკკპ საოლქო კომიტეტში გამართა თათბირი ოლქის პარტიულ-სამეურნეო აქტივთან და გაზის მრეწველობის სპეციალისტებთან.

22 მარტს ა. ნ. კოსიგინი ეწვია ტიუმენის ოლქის ქალაქებს ხიანტვარტოვსკსა და სურგუთს, სადაც შეხვდა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, მენავთობეებს, სამრეწველო საწარმოებისა და სურგუთის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მუშებსა და სპეციალისტებს.

ა. ნ. კოსიგინს მოგზაურობაში ახლავან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. ე. დიმშიცი და სსრ კავშირის მთელი რიგი მინისტრები.

იმავე დღეს ამხ. ა. ნ. კოსიგინი და მისი თანმხლები პირნი ტიუმენში ჩავიდნენ. (საკდესი).

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. რ. დ. **ფანცხავა** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ;

ამხ. კ. ი. **გვარიშვილი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაათავისუფლა ამხ. ვ. ვ. **ყანჩაველი** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის მოვალეობისაგან.

სესია გაიხსნა

ქენევა, 22 მარტი. (საკდესი). აქ გაიხსნა ხაბჭოთა კავშირ-ამერიკის მუდმივი საკონსულტაციო კომისიის სესია. კომისია მოწოდებულია ხელი შეუწყოს 1972 წლის 26 მაისს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემათა შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულებისა და სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის დარგში ზოგიერთი ღონისძიების შესახებ დროებითი შეთანხმების, აგრეთვე 1971 წლის 30 სექტემბერს ორ ქვეყანას შორის დადებული ატომური ომის დაწყების საშიშროების შემცირების ღონისძიებათა შესახებ შეთანხმების მიზნებისა და დებულებების განხორციელებას.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲡᲐᲥᲗᲡ

აგრესორის მანევრები

აგრესორის მორიგ მანევრად შეაფასეს ლიბანში ტელ-ავივის განცხადება იმის შესახებ, რომ 21 მარტს საღამოს შეკრის ძალებს მისცეს ბრძანება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. პოლიტიკური მეთვალყურენი წერენ, რომ ისრაელის სარდლობას უკვე არაერთგზის გამოუცხადებია ლიბანში საომარი ოპერაციების შეწყვეტის შესახებ, მაგრამ ყოველთვის ბრძოლაში შეჰყავდა ახალი ძალები და აგრესია სულ უფრო ფართო მასშტაბს იძენდა.

ისრაელი კვლავინდებურად უგულებელყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, რომელიც მოითხოვს დაპყრობილი ლიბანის ტერიტორიიდან აგრესორის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას. ლიბანის დედაქალაქში სერიოზულად არიან შეშფოთებული ტელ-ავივის განზრახვით, რომ დაუსრულებლად გააჭიანუროს თავისი ჯარების გაყვანა და ცდილობს შეცვალოს ლიბან-ისრაელის საზღვარი, კერძოდ, ხერმონის მთის რაიონში.

ამ ავბედით ფონზე საოცრად გაისმა თეთრი სახლის წარმომადგენლის განცხადება, რომელმაც პრესკონფერენციაზე თქვა, რომ ვაშინგტონში დაწყებულ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. კარტერისა და ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბეგინის მოლაპარაკებაზე „საერთოდ არ შეხებიან“ საკითხს სამხრეთ ლიბანში ისრაელის შეიარაღებული შეკრის შესახებ.

ეს განცხადება მხოლოდ ადასტურებს შეერთებული შტატების თვალთმაქცობას, რომელიც სიტყვით აცხადებს ლიბანის მდგომარეობით შეშფოთებული ვარო, საქმით კი არაფერს არ აკეთებს აგრესიის აღკვეთისათვის, ლიბანის ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების გაყვანის უზრუნველყოფისათვის. (საკდესი).

ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

დღეს პირველად

დღეს თბილისელ დინამოელებს პრემიერა აქვთ — ისინი თავიანთ მოედანზე გამართავენ ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველ ოფიციალურ მატჩს ქალაქ ნიკოპოლის „კოლოსთან“. შეგახსენებთ, რომ მეტოქეების პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. წინადელ ორთაბრძოლასთან ედარებით დინამოელთა შემადგენლობაში მოხდება ცვლილებები. როგორც ჩანს, დიდი ხნით გამოგიდა მწყობრიდან ნახევარმცველი ვ. დარასელია, რომელმაც ნიკოპოლის სტადიონზე სერიოზული ტრავმა მიიღო. ტრავმირებულია აგრეთვე მცველი თ. კოსტავა. საეჭვოა მცველის შ. ხინჩაგაშვილის მონაწილეობაც ამ შეხვედრაში.

შემადგენლობაში დანაკლისის მიუხედავად, დინამოელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გავიდნენ თასის გათამაშების შემდეგ წრეში. (საინფორმი).

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

24 მარტი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრმია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — კინონარკვევი, 17.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფერადი ფილმი „ძაღლს ორთქლმავალზე ვცვლი“, 18.05 — კონცერტი, 18.30 — საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი, 19.10 — კონცერტი, 19.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — ფეხბურთი საბჭოთა კაკშირის თასზე: „დინამო“ (თბილისი)-„კოლოსი“ (ნიკოპოლი). მეორე ტაიმი (რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან. ფერადი, 20.45 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ეს ყველაფერი მაპ ეჭება“. პირველი სერია. პრემიერა (მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი. დასასრულ „ახალი ამბები“.

ᲗᲣᲯᲐᲠᲘ

24 მარტი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ᲐᲘᲥᲐ; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲫᲕᲔᲚᲘ ᲒᲠᲘᲓᲘᲜᲘᲡᲔᲑᲘ (დღისით), სამოთხის ვაშლები (საღამოს); ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ᲡᲐᲗᲐᲒᲣᲠᲘ (დღისით), მინიატიურების სახელმწიფო — ᲤᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲯᲚᲔ; კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო — ᲔᲚᲔᲛᲘᲠᲐᲚᲓᲐ (ხუთდანი რომანი).

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნისა — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 93-52-46, ხაბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი აასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

უე 07750

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14